ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

№ _____

ქალაქი ქუთაისი _____ _____დეკემბერი_____ 2023 წელი

,,ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავტომანქანების პარკირების მარეგულირებელი ნორმების, ავტომანქანების პარკირების ადგილების განსაზღვრისა და ავტომანქანების პარკირების წესების დადგენის შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 30 იანვრის №69 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

,,ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და საქართველოს კანონი ,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 63-ე მუხლის საფუძველზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1. შეტანილ იქნას ცვლილება ,,ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავტომანქანების პარკირების მარეგულირებელი ნორმების, ავტომანქანების პარკირების ადგილების განსაზღვრისა და ავტომანქანების პარკირების წესების დადგენის შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 30 იანვრის №69 დადგენილებაში, კერძოდ:

1. დადგენილების მე-5 მუხლის მეორე პუნქტი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,2. პარკირების სპეციალური ადგილები თავის მხრივ იყოფა შემდეგ ქვესახეობებად:

ა) ტაქსების პარკირების ადგილები;

ბ) იმ ავტომანქანების პარკირების ადგილების, რომლებიც სასყიდლით ან უსასყიდლოდ ახორციელებენ მომსახურებას ტვირთების გადაზიდვა-გადატანის სფეროში;

,,გ) ელექტრომობილების დამუხტვისათვის განკუთვნილი საპარკინგე ადგილები.“

2. დადგენილებას დაემატოს შემდეგი შინაარსის 21^1 მუხლი:

,,მუხლი 21^1. ელექტრომობილების პარკირებისა და დამუხტვის წესი

1.ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულ, სპეციალური მანიშნებელი დაფით გამოყოფილ, ელექტრომობილების დასამუხტ ადგილებზე სატრანსპორტო საშუალებების პარკირება დასაშვებია, მხოლოდ მისი დამუხტვისათვის საჭირო დროით.

2. აკრძალულია ელექტრომობილების დასამუხტ საპარკინგე ადგილებზე სხვა ტიპის სატრანსპორტო საშუალების განთავსება, გარდა ელექტრომობილებისა, მისი დამუხტვისათვის საჭირო დროით.

3. ელექტრომობილების დასამუხტ ადგილებზე სხვა ტიპის სატრანსპორტო საშუალების (გარდა ელექტრომობილებისა დატენვის მიზნით) პარკირება ჩაითვლება ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავტოსატრანსპორტო საშუალებების პარკირების წესების დარღვევად და მასზე რეაგირება მოხდება, პარკირების ორგანიზების უფლების მქონე პირის მიერ, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით დადგენილი წესით.

4.ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე პარკირების ადგილებით სარგებლობისათვის განსაზღვრული საფასურის გადახდისაგან გათავისუფლებული არიან ქალაქ ქუთაისის ადმინისტრაციულ საზღვრებში მოძრავი სრულად ელექტროძრავიანი ავტოსატრანსპორტო საშუალების მფლობელები.“

მუხლი 2. დადგენილების 21^1 მუხლის 1-3 პუნქტები ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე, ხოლო მეოთხე პუნქტი 2024 წლის პირველი იანვრიდან.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი იოსებ ხახალეიშვილი

განმარტებითი ბარათი

,,ქალაქ ქუთაისში მესამე პირებისათვის პარკირების ორგანიზების უფლების გადაცემისას ყველა სახეობის პარკირების ადგილების სარგებლობისათვის, საჯარიმო სადგომზე გადაყვანისა და დგომისათვის საფასურის ზედა ზღვარის დადგენის შესახებ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 25 თებერვლის №79 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტთან დაკავშირებით

1. ზოგადი ინფორმაცია დადგენილების პროექტის შესახებ

ა) პროექტის მიღების მიზეზი:

მსოფლიო მასშტაბით კლიმატური ცვლილებებით შექმნილი რისკებისა და გამოწვევების გათვალისწინებით გაჩნდა მზარდი საჭიროება, გარემოს დაცვის მიმართულებით გატარდეს ეფექტური ღონისძიებები და გადაიდგას პრაქტიკული ნაბიჯები. აღსანიშნავია, რომ შიგაწვის ძრავაზე მომუშავე ავტოსატრანსპორტო საშუალებებიდან გაფრქვეული დამაბინძურებელი ნივთიერებები მნიშვნელოვან ნეგატიურ გავლენას ახდენს გარემოზე, ადამიანის ჯანმრთელობაზე და ხელს უწყობს კლიმატის ცვლილებებს. გარემოსდაცვითი კეთილგანწყობის მოთხოვნების გათვალისწინებით და ურბანული ტრანსპორტის განვითარების პრიორიტეტულობის გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია შიგაწვის ძრავიანი ავტომობილების ეკოლოგიურად სუფთა - ელექტრომობილებით ჩანაცვლების მიმართულებით. ელექტრო მობილებს აქვთ ნულოვანი ემისიის უნარი და პოზიტიურ როლს ასრულებს, როგორც გარემოს დაბინძურების და ხმაურის შემცირების, ასევე ფინანსური დანაზოგების მიღების თვალსაზრისით. გაეროს განვითარების პროგრამის ,,UNDP” და ევროკავშირის ,,EU” საგრანტო პროექტით - ,,მუნიციპალიტეტის ტრანსპორმაციის პორტფელი“, რომელიც ხორციელდება ინიციატივა ,,მერები ეკონომიკური ზრდისათვის“ ,,M4EG” ფარგლებში, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მიზანს წარმოადგენს ,,ქუთაისი ეკო სმარტ ქალაქად“ ფორმირება. ამ მიზნის მისაღწევად, ქუთაისის მუნიციპალიტეტის მიერ გადაიდგა ქმედითი ნაბიჯები და განხორციელდა ავტომანქანების პარკირების ადგილებზე 2 ლოკაციაზე, ელექტრომობილების დასამუხტი უნივერსალური 4 წერტილის მოწყობა, სადაც ელექტრომობილების მფლობელები უსასყიდლოდ შეძლებენ მათი სატრანსპორტო საშულებების დამუხტვას. ელექტრომობილების მფლობელთა წახალისებისა და ქვეყნის მასშტაბით ავტოპარკის ახალი ე.წ. ,,მწვანე ტრანსპორტით“ ჩანაცვლების პროცესის ხელშეწყობის მიზნით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტი ასევე გეგმავს, ელექტრომობილების მფლობელთა სრულად გათავისუფლებას პარკირების მოსაკრებლისაგან.

ბ. პროექტის მიღების მიზანი:

დადგენილების პროექტის მიღება მიზნად ისახავს ქალაქის/ქვეყნის ავტოპარკის შიგაწვის ძრავიანი სატრანსპორტო საშუალებებიდან ეკოლოგიურად სუფთა ავტოსატრანსპორტო საშუალებებაზე გადასვლის პროცესის სტიმულირებას.

2. დადგენილების პროექტის ფინანსური დასაბუთება:

ა) პროექტის მიღებასთან და გამოქვეყნებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტი.

ბ) პროექტის გავლენა ადგილობრივ ბიუჯეტზე:

იმის გათვალისწინებით, რომ დღეის მდგომარეობით, ქალაქ ქუთაისში რეგისტირებულია 185 (ას ოთხმოცდახუთი) ერთეული სატრანსპორტო საშუალება (საქართველოს მასშტაბით 5 000 (ხუთი ათასი) ერთეული), ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე გავლენა იქნება უმნიშვნელო. მხედველობაშია მისაღები ის გარემოება, რომ გრძელვადიან პერსპექტივაში, მოცემული მიზნის მიღწევა გულისხმობს, ეკოლოგიური გარემოს ნაკლებ დაბინძურებას მავნე ნივთიერებებით, რაც თავის მხრივ, მჭიდროდ არის დაკავშირებული ადამიანების ჯანმრთელობასა და სიცოცხლესთან და უმნიშვნელოვანეს ღირებულებას წარმოადგენს.

3. დადგენილების პროექტის ინიციატორი:

დადგენილების პროექტის მიღების ინიციატორია ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი, ბატონი იოსებ ხახალეიშვილი.

4. დადგენილების პროექტის შემდგენელი:

დადგენილების პროექტის შემუშავებაში ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერთან ერთად მონაწილეობდნენ: ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე იუზა უგულავა და პირველადი სტრუქტურული ერთეულის ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი თინათინ ბერიშვილი სამსახურის სტრუქტურული ქვედანაყოფების ხელმძღვანელებთან და საჯარო მოხელეებთან ერთად.

5. საკრებულოს სხდომაზე დადგენილების პროექტის წარმომდგენი:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე დადგენილების პროექტს წარმოადგენს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი თინათინ ბერიშვილი.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი იოსებ ხახალეიშვილი